თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რძის ფხვნილისგან დამზადებულ ყველს „ყველი“ აღარ ერქმევა

მე-3 გვერდზე

ბრალდებები და შეთანხმებები – რა პროცესები მიმდინარეობს „ჯორჯიან მანგანეზის“ ირგვლივ?

მე-2 გვერდზე

№4 (766) 26 ივნისი - 2 ივლისი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

ლელა ქელბაქიანი: „საკრებულოში კენჭს აღარ ვიყრი, აღარ შემწევს უნარი, კიდევ ერთხელ გავითავისო ამდენი ადამიანის პრობლემა“

ქუთაისელ ამომრჩევლებს ლელა ქელბაქიანი მხოლოდ წინასაარჩევნო პლაკატებიდან ახსოვთ

არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა დემოკრატიულობის უმაღლეს წერტილად ითვლება. მოსახლეობასაც ყოველი არჩევნევის წინ სასურველი, დადებითი სიახლეების მოლოდინი აქვს. თუმცა ეს მოლოდინი, როგორც წესი, დაახლოებით 6 თვეში აბსოლიტურად იცვლება ხოლმე და იწყება ახალ ხელისუფლებაზე იმედგაცრუებული ხალხის წუწუნი,რომელთაც მომავალ არჩევნებამდე არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ.

ამჯერად ჩვენი ქვეყანა და ხალხი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპისათვის, ადგილობრივი თვითმმართვლობის არჩევნებისთვის ემზადება.

ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, თუ როგორი დამოკიდებულება არსებოს ქვეყნის თვითმმართველ ქალაქში, ქუთაისში, მოახლოებული არჩევნების მიმართ და რითი დაამახსოვრეს თავი ხალხს ამ დროისათვის წარმოდგენილმა საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა, რომლებიც 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობის რჩეული კანდიდატები გახდნენ. ქუტაისის საკრებულოში ამ დროისთვის 10 მაჟორიტარი დეპუტატი საქმიანობს. ჩვენ ახალი რუბრიკით „შენი ხმა საკრებულოში“, თითოეულ მათგანზე პერიოდულად მოგაწვდით მათი საქმიანობის „ჟურნალისტური მონიტორინგის“ შედეგებს.

პირველი სტატიის დაწერა იმ დეპუტატზე გადავწყვიტეთ, რომელიც ქუთაისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დასახლების ხმას წარმოადგენს საკრებულოში და რომელსაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პოზიცია უკავია თვითმმართველობის ორგანოში. ეს გახლავთ კახიანაურისა და მუხრანის დასახლების მაჟორიტარი დეპუტატი **ლელა ქელბაქიანი**.

ინფორმაცია ავტობიოგრაფიიდან: დაბადების თარიღი: 23.12. 1970; განათლება - უმაღლესი (ქიმიის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი).

ოჯახი: ჰყავს 18 წლის ვაჟი, დავით გაბელაშვილი.

***

ლელა ქელბაქიანმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კოალიცია "ქართული ოცნება -თავისუფალი დემოკრატები"-ს სახელით იყარა კენჭი. გამარჯვებიდან სამ თვეში ის კოალიციას გამოეყო და უპარტიო მაჟორიტარი გახდა. ის ასევე არის საფინნსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი. აღნიშნული კომიტეტი მონაწილეობს თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირებაში და აკონტროლებს ხარჯებს.

სანამ უშუალოდ ლელა ქელბაქიანს გავესაუბრებოდით, ქუჩის გამოკითხვა ჩავატრეთ მის სამაჟორიტარო დასახლებაში. არჩევნებისს გაგონებაზე ბევრმა რესპონდენტმა საერთოდ არ მოისურვა ჩვენთან გასაუბრება. პირადი პრობლემებით დამძიმებულ მოსახლეობას უჭირს ზოგად საჭიროებებზე ორიენტირება. ეს კარგად ჩანს მათთან საუბრისას.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

შვიდი თვითმმართველი ქალაქის გაუქმება – რეფორმა თუ ანტირეფორმა?

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 15 ივნისს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც შვიდ თვითმმართველ ქალაქს სტატუსი ჩამოერთვა და იგივე დასახელების მუნიციპალიტეტის ფარგლებში გაერთიანდა. შედეგად შვიდი თვითმმართველი ქალაქის ნაცვლად შვიდი მუნიციპალიტის ადმინისტრაციული ცენტრი მივიღეთ. მაგალითად, თუ მანამდე იყო ქალაქი თელავი და თელავის მუნიპალიტეტი, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გვექნება მხოლოდ თელავის მუნიციპალიტეტი. სულ ასეთი თვითმმართველი ქალაქი, რომელიც გაუქმდა და შეუერთდა იგივე დასახელების სათემო მუნიციპალიტეტს, შვიდია - გორი, ამბროლაური, მცხეთა, ოზურგეთი, თელავი, ახალციხე და ზუგდიდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შვიდ ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ისევ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მიანიჭა 2014 წელს, „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და 2017 წელს ისევ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ წაართვა. მაშინ ამ ქალაქებისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭება წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა. რეფორმის პირველ ეტაპზე თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდა და მერების/გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასეს როგორც ევროსაბჭომ, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც.

თუმცა, დღეს ხელისუფლება უკვე სხვაგვარად ფიქრობს და ამ ქალაქების ცალკე თვითმმართველ ერთეულად არსებობა აღარ მიაჩნია მიზანშეწონილად. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ კომენტარებში, თვითმმართველი ერთეული არ უქმდება, უბრალოდ განსხვავება მხოლოდ შემდეგშია - თვითმმართველ ქალაქებში ირჩევენ მერებს, სათემო მუნიციპალიტეტებში კი გამგებლებს.

„აქ ლაპარაკია იმაზე, თუ მოხდება გამსხვილება, ანუ დაბრუნება ძველი საზღვრების, მაშინ ეს სათემო მუნიციპალიტეტები იქნება და, ცხადია, იქ არჩეული იქნება გამგებლები“ - აცხადებდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ჟორჟოლიანი. თუმცა, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ასე მარტივად არ შეხედეს და შეეწინააღმდეგნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

როდესაც დაიწყო მსჯელობა შვიდი ქალაქისათვის სტატუსის ჩამორთმევაზე, არასამთავრობო სექტორმა გაავრცელა განცხადება, სადაც ხელისუფლების ეს ნაბიჯი ერთმნიშვნელოვნად შეაფასა, როგორც რეფორმის დეკლარირებული პრინციპებიდან გადახვევა.

„თვითმმართველი ქალაქების განვითარება - ეს არის თანამედროვე სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენცია. საქართველოსთვის თვითმმართველი ქალაქების ჩამოყალიბების ხელშეწყობა კი, არა მარტო სახელმწიფოს ურბანული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, არამედ ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელია ქვეყნის მართვის ევროპულ მოდელზე გადასასვლელად. ამავდროულად, თვითმმართველი ქალაქების გაუქმება და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანება შეაფერხებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის განვითარებასაც. გარდა ამისა, ქალაქი, რომელსაც არ ჰყავს მოსახლეობის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული ადგილობრივი ხელისუფლება, არ აქვს საკუთარი შემოსავლები, ქონება და ბიუჯეტი, კარგავს განვითარების სამომავლო პერსპექტივებსაც“ - ნათქვამია 120 ორგანიზაციის სახელით გავრცლებულ განცხადებაში.

როგორც რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის თავმჯდომარე დავით ლოსაბერიძე ეჭვობს, შესაძლოა ხელისუფლების მიერ დასახელებული მიზეზის - ხარჯების შემცირების ნაცვლად, არსებული პრაქტიკით, ადმინისტრაციულმა ხარჯებმაც მოიმატოს. შვიდი თვითმმართველი ქალაქის გაუქმებას ანტირეფორმად მიიჩნევს „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი, კოტე კანდელაკი. მისთვის თვითმმართველობების გამსხვილების გამართლება ხარჯების დაზოგვით გაუგებარია:

“ზოგადად, დემოკრატიული ინსტიტუტები ძვირი სიამოვნებაა და თანხების დაზოგვა ამ მიმართულებით არ არის გამართლებული. არც ის დეკლარირებული რაოდენობა, რომელსაც მთავრობა ასახელებს, არ იზოგება ამდენი. ძალიან მიზერული თანხები შეიძლება „დაიზოგოს“, მაგრამ ამ დაზოგილ თანხებს შეიძლება ბევრი გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს - ვთქვათ, დემოკრატიის ხარისხის გაუარესება, იგივე სერვისების მიწოდების ხარისხის გაუარესება და ასე შემდეგ“.

როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, მუნიციპალიტეტების გაერთიანება ყოველთვის იწვევს ხოლმე გადაწონვას, ასე ვთქვათ, მუნიციპალური ბიუჯეტისა ქალაქის მხარეს, იმიტომ რომ ქალაქში მეტი მოსახლეობა ცხოვრობს, მეტ სერვისს იღებს სახელმწიფოსგან და ამიტომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ყოველთვის ცდილობს ხოლმე მეტად კმაყოფილი ჰყავდეს დიდი ქალაქის მოსახლეობა და ამ შემთხვევაში სოფლები ყურადღების გარეშე რჩებიან ხოლმე. თავის დროზე, ძალიან კარგი რამ გაკეთდა გაყოფით, იმიტომ რომ მეტი ყურადღება მიექცა სოფლებს, მეტი ინფრასტრუტქურული პროექტების განხორციელება დაიწყო სოფლებში - ბაღები, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული სერვისები, რომლებიც სოფლებისთვის აქამდე ხელმიუწვდომელი იყო. ამიტომ არასამთავრობო სექტორის ექსპერტები ფიქრობენ, რომ შვიდი თვითმმართველი ქალაქის და სათემო მუნიციპალიტეტების გაერთიანება, ძალიან დააზარალებს მოსახლეობას.

ცოტნე პაატაშვილი

PS news.ge

ISSN 1987-7056

ივნისის წინასაარჩევნო კამპანიის ქრონიკა

შემოდგომაზე საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია დაგეგმილი და წინასაარჩევნო კამპანია ქუთაისში მცირე დოზით უკვე იგრძნობა. სწორედ ამ ფაქტების ტავმოყრას ვახდენთ ამ რუბრიკაში.

✔

იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა, გიორგი ჭიღვარიამ "**ქართული ოცნების**" ცენტრალურ ოფისში ქუთაისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების სია გადააგზავნა, რომელშიც მოქმედი წევრები და ახალი სახეებიც, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან. მალე-ვე კულუარებიდან გამოჟონა ინ-ფორმაციამ, რომ ეს სია ცენტრალურმა ოფისმა დაიწუნა . "საბოლოო გადაწყვეტილება ცენტრალურმა ოფისმა უნდა მიიღოს. ვისაც გადაწყვეტს, მას დავუჭერთ მხარს. ყველაფერი არის განხილვის რეჟიმში. ისინი შეისწავლიან პიროვნებებს ვინ უფრო რესურსიანი, ვინ უფრო შედეგიანი იქნება, პარტიის წევრობა, გვერდით დგომა. ისეთი ადამიანი, ვისაც ქალაქში ცნობადობა აქვს. ეგეთი ადამიანები არიან ამ სიაში და კიდევ გამოჩნდებიან სხვა სახეებიც," – ამბობს გიორგი ჭიღვარია.

✔

წინასაარჩევნო სამზადისი "**ევროპული საქართველოს**" ქუთაისის ორგანიზაციაშიც უკვე იგრძნობა. მათ ქუთაისის მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შერჩევა უკვე დაწყებული აქვთ.ჯერჯ ერობით პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციაში მერობის კანდიდატად გია თევდორაძისა და კოტე რატიანის კანდიდატები მოიაზრებიან.
თავად კოტე რატიანი და გია თევდორაძე ამ შიდა განხილვებს არ უარყოფენ, თუმცა იმასაც ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ქუთაისის მერობის კანდიდატად მათზე უფრო ცნობადი და სოლიდური ფიგურა ვიხილოთ, ახალი ხედვით, ახალი ენერგიით.

✔

„ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციას კი ქალაქის მერობის კანდიდატად ხატია დეკანოიძის წარდგენის სურვილი აქვს და ამჟამად მასთან აწარმოებს კონსულტაციებს.
თუმცა ნაციონალების ადგილობრივ ორგანიზაციაში იმასაც ადასტურებენ, რომ დეკანოიძესთან ერთად, ქუთაისის მერობის კანდიდატობაზე კონსულტაციები რამდენიმე სხვა პირთანაც მიმდინარეობს, რომელთა შორის ადგილობრივი კადრებიც არიან. თუმცა, როგორც ჩანს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას გუნდი ჯერ არ ჩქარობს.

ბრალდებები და შეთანხმებები – რა პროცესები მიმდინარეობს „ჯორჯიან მანგანეზის" ირგვლივ?

11 მაისს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, როგორც ლიცენზიისა და ნებართვისგამცემმა ადმინიტრაციულმა ორგანომ, სასამართლოს თანხმობის შემდეგ შპს „ჯორჯიან მანგანეზში" სპეციალური მმართველი დანიშნა. კომპანიაში მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს და ხელისუფლება კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის მცდელობაში დაადანაშაულეს.

„ჯორჯიან მანგანეზი"

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად, 2006 წლის 11 ნოემბერს, ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისუფლებასთან ერთად, სს „ჭიათურმანგანუმის" აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში ვაჭრობის ერთადერთმამონაწილემ – Georgian Manganese Holding Limited-მა გაიმარჯვა. კომპანიის 100: წილის მფლობელი ამერიკული „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზია" (GAA), რომელიც საკუთარი წარმოების ფეროშენადნობებით ამარაგებს ფოლადისმწარმოებელ კომპანიებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ „ჯ ორჯიან მანგანეზი" ოფიციალურად ამერიკული „ამერიქან ელოიზის" კუთვნილებაა, არსებობს ვარაუდი, რომ მის უკან უკრაინულიჯგუფი დგას, რომელიც საქართველოში „ ტაოპრივატბანკის" მფლობელი იყო. "ჯორჯიან მანგანეზის" წარმოებული პროდუქცია საქართველოს ექსპორტის მნიშვნალოვან წილს შეადგენს(დაახლოებით 20:). ჰოლდინგის შემადგენლობაში შედის ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანაც. ასე რომ, დღეს საქართველოს ორი უმსხვილესი საწარმოს მფლობელი „ჯორჯიან მანგანეზია". კომპანიას 5 500-მდეადამიანი ჰყავს დასაქმებული.
მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიას ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, საქართველოსმთავრობის მხრიდან მის მიმართ პრეტენზიები ხშირად გაისმის. ეს პრეტენზიები, ძირითადად, გარემოსდაბინძურებასა და ეკოლოგიური პრობლემების შექმნას უკავშირდება, რისთვისაც კომპანია მილიონობითლარითაა დაჯარიმებული. დაუდასტურებელი ინფორმაციით კი, პრეტენზიები მხოლოდ საბაბია, რაცჭიათურის მანგანუმის მაღაროებისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დაუფლების მიზანსემსახურება.

სპეციალური მმართველი

თუმცა, ჭიათურაში ეკოლოგიის კუთხით რომ არცთუ სახარბიელო ვითარებაა, ესეც ცხადია. ქალაქში შექმნილმძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ფაქტ-მეტრი ადრეც წერდა. ბოლო წლებში გარემოსდაცვითიკანომდებლობის დარღვევის ფაქტებისა და გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობით, გარემოს ეროვნულისააგენტოს მონაცემებით, ჭიათურის წილი მნიშვნელოვანია. მაგალითად, 2014 წელს საქართველოს მასშტაბითგარემოსადმი მიყენებული ზიანის 89: მხოლოდ ჭიათურაზე მოდიოდა. „ჯორჯიან მანგანეზს" კი, ბოლო წლებში ჯარიმის სახით 160 მილიონამდე დოლარის გადახდა დაეკისრა.
როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულიინფორმაციით ირკვევა, კომპანიაში სპეციალური მმართველის დანიშვნის ძირითადი მიზეზი სწორედ ეს გახდა. „კომპანია, რომელიც წლებია ფლობს მანგანუმის მადნის მოპოვების ლიცენზიას და ახორციელებს მანგანუმისგამდიდრებისა და გადამუშავების საქმიანობას, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან არაერთი დაჯარიმებისა დაადგილზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გონივრული ვადების განსაზღვრისა, კვლავგრძელებდა საქმიანობას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მძიმე დარღვევით", - ნათქვამია სამინისტროსგანცხადებაში.
სპეციალური მმართველის დანიშვნით სახელმწიფომ პრობლემის გამოსწორების პასუხისმგებლობა საკუთართავზე აიღო. ახალმა მმართველმა, ნიკოლოზ ჩიქოვანმა, ჭიათურასა და ზესტაფონში არსებული მძიმეეკოლოგიური მდგომარეობის ეტაპობრივად გამოსწორების გეგმა/გრაფიკი უნდა შეიმუშაოს და პრობლემისაღმოფხვრას შეეცადოს. ამასთან, გარემოს დაცვის სამინისტრომ კომპანიას არ შეუჩერა საქმიანობის ნებართვა და ლიცენზია, რაც მასწარმოების გაგრძელების საშუალებას აძლევს.

კომპანიის არგუმენტები

სხვაგვარად ფიქრობდნენ თავად კომპანიაში. მათთვის მიუღებელი იყო სპეციალური მმართველის დანიშვნა, რაც, მათი აზრით, სახელმწიფოს მხრიდან კომპანიის საქმიანობაში მიზანმიმართულ ჩარევასა და კერძოსაკუთრების ძალადობრივი მეთოდით ჩამორთმევის მცდელობაზე მიუთითებს.
სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ „ჯორჯიან მანგანეზმა" განცხადება გაავრცელა, სადაცსახელმწიფო არამართლზომიერ და უკანონო ქმედებებში ბრალდებულია. კომპანია მიიჩნევდა, რომ საქართველოსგარემოს დაცვის სამინისტრომ მოიპოვა სასამართლოს ცალმხრივი ბრძანება, რომლითაც უხეშად ჩაერია კერძომესაკუთრის უფლებებში, გაათავისუფლა მფლობელების დანიშნული დირექტორი და მის ნაცვლად მთავრობისმიერ შერჩეული სპეციალური მმართველი დანიშნა, რომელიც განუსაზღვრელი უფლებამოსილებით აღჭურვა, რაც, ფაქტობრივად, სამეთვალყურეო საბჭოს უფლებით სარგებლობას ნიშნავს. ასევე, კომპანიის განცხადებით, ამგადაწყვეტილებით ხელისუფლებამ კომპანია ჩააბარა დირექტორს, რომელიც კავშირშია კომპანიის საკუთრებისუმნიშვნელო წილის, 4:-ის მფლობელებთან.
„ჯორჯიან მანგანეზი" ასევე უსამართლოდ თვლის მისთვის 82 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობისგადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დაკისრებას, რადგან, კომპანიის პოზიციით, დაკისრებულივალდებულება საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ფინანსურიაღრიცხვიანობის პრინციპებს და საწარმოო სტანდარტების პრაქტიკას ეწინააღმდეგება. როგორც კომპანაშიგანაცხადეს, ორმა ავტორიტეტულმა საერთაშორსო აუდიტორულმა კომპანიამ ვერ აღმოაჩინა საფუძველი, რისთვის შეიძლებოდა „ჯორჯიან მანგანეზს" ასეთი დიდი ოდენობის ჯარიმები დაკისრებოდა.
კომპანიაში სამართლებრივ დევნად შეაფასეს დაკისრებული 160 მილიონი დოლარის ოდენობის ჯ არიმა გარემოსდაცვის რეგულაციების დარღვევისთვის და აღნიშნეს, რომ ქვეყანამ ბოროტად გამოიყენა კომპანიის მიმართ ესრეგულაციები. გარდა ამისა, კომპანიის განცხადებით, საქართველოს მთავრობა რამდენიმე წლის განმავლობაშიგანზრახ ბლოკავდა კომპანიის მიერ ინიცირებულ საინვესტიციო პროექტს, რომელიც 25 მილიონი აშშ დოლარისინვესტიციას გულისხმობდა ჭიათურაში გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობისათვის. მთავრობას ერჩივნაგარემოსდაცვითი დარღვევები გამოეყენებინა შემდგომ უსამართლო ჯარიმების დასაკისრებლად.
საქართველოში GAA-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ზაქარია ზალიკაშვილისთვისგაუგებარია, რატომ მიიღო სახელმწიფომ ჭიათურაში ეკოლოგიური პრობლემის აღმოფხვრის მოტივით მსგავსი-გადაწყვეტილება და კომპანიის მფლობელებს ამ მიზეზით რატომ შეუჩერა სხვა უფლებამოსილებები. მისიაზრით, სახელწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებებში ეჭვს იწვევს დანიშნული სპეციალური მმართველიც. „იგი 2006 წლამდე ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ხელმღძღვანელი იყო, არ ფლობს ეკოლოგიურსაკითხებს და არ გააჩნია მისი გადაწყვეტის უნარები. ეს ადამიანი დაკავშირებული არის GAA-ს მცირეაქციონერთა ჯგუფთან და დღეს მოევლინა სპეციალურ მმართველად ისევ „ჯორჯიან მანგანეზს", ოღონდ არაროგორც ჭიათურაში ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ ამ კომპანიის სპეციალურმმართველად, რომელშიც შედის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაც", – განაცხადა ზალიკაშვილმა.
ზალიკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ არ მისცა კომპანიას საშუალება პრობლემების იმ გონივრულვადაში აღმოსაფხვრელად, რაც თვითონ დაუწესა.

შეთანხმება

გავრცელებული ურთიერთბრალდებების შემდეგ, სპეციალური მმართველის წარდგენილი სამწლიანი გეგმის განსახილველად და მოსალაპარაკებლად კომპანიის წარმომადგენლები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტუმრობდნენ. 14 ივნისს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმება მიღწეულია. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის, მაია ბითაძის განცხადებით, წარმოდგენილი სამწლიანი გეგმა უზრუნველყოფს (ადგილზე სალიცენზიო სანებართვო პირობების შესრულების პარალელურად) მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის ეტაპობრივად აღმოფხვრას. „ჯორჯიან ამერიქან ელოიზის" აქციონერმა უელიელ ლაბირმა დაადასტურა, რომ წარდგენილი გეგმის განხორციელების შემდეგ მხარეებს შორის უკმაყოფილება აღმოიფხვრება.
საზოგადოებისთვის უცნობია, რა გახდა ასე მოკლე დროში სიტუაციის რადიკალურად შემობრუნების საბაბი. მხარეები მოლაპარაკების დეტალებზე არ საუბრობენ. პრესკონფერენციაზე მხოლოდ სამწლიან გეგმასა და მიღწეულ შეთანხმებაზე გაკეთდა აქცენტი. ფაქტ-მეტრი თვალს მიადევნებს „ჯორჯიან მანგანეზთან" დაკავშირებულ მოვლენებს და ამ თემას კვლავ დაუბრუნდება.

ირმა ბახუტაშვილი
factcheck.ge

შენი ხმა საკრებულოში

ლელა ქელბაქიანი: „საკრებულოში კენჭს აღარ ვიყრი, აღარ შემწევს უნარი, კიდევ ერთხლ გავითავისო ამდენი ადამიანის პრობლემა"

ქუთაისელ ამომრჩევლებს ლელა ქელბაქიანი მხოლოდ წინასაარჩევნო პლაკატებიდან ახსოვთ

პირველი გვერდიდან

„რწმენადაკარგულები ვართ", „საქმით დაგვამახსოვროს თავი"," მხოლოდ არჩევნებზე ვახსენდებით", „არაფერი გაუკეთებიათ", - ძირითადად მსგავსი შინაარსის ფრაზები მოვისმინეთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც 3 წლის უკან დიდ იმედებს ამყარებდნენ არსებულ ხელისუფლებაზე.

განცხადება ძველი ინტერვიუდან, რომელიც ლელა ქელბაქიანმა 2014 წელს, უკვე საკრებულოს დეპუტატმა გააკეთა:

„რამდენად მიცნობენ, ამომრჩევლებს უნდა ჰკითხოთ. ყველაზე მთავარი, რაც დაამახსოვრდებათ- მაჟორიტარი, რომელიც ყოველთვის მათ გვერდით იდგა და მაქსიმალურად ცდილობდა ამომრჩევლების ინტერესების დაცვას".

***

2017 წლის ივნისის დასაწყისში ჩვენ დაახლოებით 50 ამომრჩეველს ვკითხეთ, თუ იცოდნენ, მისი დეპუტატი ვინ იყო საკრებულოში და 99:-მა ვერ დაგვისახელა, ვინ იყო მათი მაჟორიტრი დეპუტატი ქუთაისის საკრებულოში. ერთმა ქალბატონმა კი ლელა ქელბაქიანი მხოლოდ წინასაარჩევნო პლაკატებიდან გაიხსენა.

თვითონ ლელა ქელბაქიანმა გვითხრა, რომ ის არჩევნებამდეც და არჩევნების მერეც ბევრჯერ შეხვედრია ამომრჩეველს და თუკი გამოკითხული ადამიანები გარეთ არ გამოდიან, ეს მისი ბრალი არაა და სახლში ვერავის შეუვარდება. მისივე თქმით, შხვედრებზე არასდროს შეინიშნება მოსახლეობის მაღალი აქტივობა.

მოსახლეობამ ასევე ვერ დაგვისახახელა წინასაარჩევნო დაპირებები. ხოლო კითხვაზე, კვლავ აირჩევენ თუ არა იგივე დეპუტატს, ყველამ უარყოფითი პასუხი გაგვცა! ლელა ქელბაქიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მას არანაირი კონკრეტული დაპირება წინასაარჩევნოდ არ მიუცია მოსახლეობისთის, რადგან არც ის იცოდა, გაიმარჯვებდა თუ ვერა ან გამარჯვების შემთხვევაში, რა შესაძლებლობები ჰქონდა მაჟორიტარს.

"ჩემი ერთადერთი დაპირება იყო ის, რომ ჩემი ამომრჩევლისთვის ნებისმიერ დროს ვიქნებოდი ხელმისაწვდომი, მათთან კონტაქტი მექნებოდა ნებისმიერი საშუალებით და მე ეს შევასრულე"- აცხადებს ქუთაისის კახიანაურისა და მუხრანის დასახლების მაჟორიტარი დეპუტატი ლელა ქელბაქიანი.

ლელა ქელბაქიანი

მისივე თქმით, ისეთ ზოგად პრობლემებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურული პროექტების მოთხოვნები და საბინაო მეურნეობის საკითხების მოწესრიგება, დანიშვნის პირველივე დღიდან აწესრიგებს. განსაკუთრებული პრობლემები კი მის უბანზე არ დაფიქსირბულა. ბევრ თხოვნას კი ყოველგვარი ოფიციალური მიმოწერის გარეშე უგვარებს მოსახლეობას, რადგან არ უყვარს ბარიერების შექმნა.

გამოკითხულმა რესპონდენტებმა კი შემდეგი პრობლემები დაგვისახელეს: რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიის გაკრეჭა, დასუფთავება (ამ გზას კახიანაურის მოსახლეობა საფეხმავლოდ იყენებს); მაწანწალა ძაღლების სიმრავლე მათ უბანში; დასახლებულ უბნებში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების დაგება (ე,წ. "ბუგორები"); ურნების დამატება;

ლელა ქელბაქიანი ამბობს,რომ რკინიგზის ტერიტორიის დასუფთავების უფლება მათ არ აქვთ. თხოვნით კი უკვე მიმართეს რკინიგზის სამსახურს. მაწანწალა ძაღლები აცრილები არიან და საფრთხეს არ წარმოადგენენ, დახოცვა კი აკრძალულია. სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები, მისი ინფორმაციით, რამდენიმე ადგილას უკვე დაიგო. ურნებიც საკმაოდ მრავლად ჩაიდგა. როგორც ჩანს, თვითონ მოსახლეობაა ინდიფერენტული და ხელისუფლების შრომას ვერ აფასებს.

ლელა ქელბაქიანმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საქმიანობა მოკლედ განგვიმარტა და დასძინა,- რომ საკმაოდ კარგად თანამშრომლობენ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

ამონარიდი ძველი ინტერნეტმასალებიდან:

აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე ჩვენც და მკითხველსაც ალბათ ის ცნობილი ბრიფინგი გაახსენდა, რომელიც გასულ წელს პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციისთავმჯდომარემ გოგი წულაიამ გამარტა და განაცხადა: „ქუთაისის საკრებულოს წევრი ლელა ქელბაქიანი ბიზნესით არის დაკავებული, ამავდროულად საკრებულოში იღებს ხელფასს. მაშინ, როდესაც ნახევარზე მეტიადამიანებისა შიმშილობს, როდესაც არ აქვთ შემოსავალი და ელემენტარული საარსებო, ამის ფონზე საკრებულოსდეპუტატი, რომელიც ასევე ბიზნესით არის დაკავებული, იღებს ყოველთვიურად 1360 ლარს (მას ერიცხება 1700 ლარი, თუმცა ხდება თანხის ნაწილს დაქვითვა). გამოდის, რომ ქუთაისის საკრებულო ბიზნესმენს ფულს უხდის. მსგავსი პროცესი არის ქვეყნის და მოქალაქეების დაცინვა. მოვუწოდებ მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, შეწყვიტონ ბიზნესმენებზე ხელფასის გაცემა". ამ ბრიფინგის შემდეგ ჟურნალისტები ცდილობდნენ ლელა ქელბაქიანთან დაკავშირებას, მაგრამ იგი ქვეყანაში არ იმყოფებოდა და არც მერე გაუკეთებია რაიმე კომენტარი.

***

ჩვენთან საუბრის დასასრულს ლელა ქელბაქიანს განვლილი პერიოდის შეფასება ვთხოვეთ და პოლიტიკასთან დაკავშირებულ საომომავლო გეგმებზეც ვკითხეთ. "დეპუტატის სტსტუსი ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო. შეუძლებელია ყველა ადამიანის პრობლემა 3-4 წელიწადში მოაგვარო. 2014 წელს პირველად გავიცანი მოსახლეობა. მანამდე წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ ქვეყანაში ამდენი საარსებო მინიმუმს ქვემოთ მყოფი ოჯახი და პრობლემა არსებობდა. კმაყოფილი ვერ ვიქნები, როცა ვიცი, რომ ეს ხალხი და პრობლემები ისევ არსებობს.

„მომავალ არჩევნებში არ მივიღებ მონაწილეობას, უკვე გადაწყვეტილი მაქვს. აღარ შემწევს უნარი, კიდევ ერთხლ გავითავისო ამდენი ადამიანის პრობლემა."- აცხადებს ლელა ქელბაქიანი.

ლიკა დევდარიანი

რძის ფხვნილისგან დამზადებულ ყველს „ყველი" აღარ ერქმევა

პირველი ივლისიდან ძალაში შედის საკანონმდებლო მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დასახელება „ყველი" შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ნაწარმს, რომელიც მზადდება რძისგან, ასევე არ შეიძლება „კარაქი" ეწოდოს მცენარეული ცხიმისაგან მომზადებულ პროდუქტს.

„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში" შეტანილი ცვლილებებს თანახმად, დაუშვებელია რძის ფხვნილისგან დამზადებული ნაწარმის ეტიკეტზე ტერმინი „ყველის" გამოყენება. აგრეთვე ცვლილებები შეეხო „შემცირებული ცხიმშემცველობის მქონე კარაქის" განმარტებას. აღნიშნული დასახელების გამოყენება შესაძლებელი იქნება კარაქზე, რომელშიც რძის ცხიმის შემცველობა არანაკლებ 39:-ს და არაუმეტეს 79%-ს შეადგენს. ამასთან ძალაში რჩება რეგლამენტის მოთხოვნა, რომ დაუშვებელია, ეტიკეტზე ტერმინი - „კარაქის" გამოყენება, მათ შორის, ბიზნესოპერატორის საფირმო დასახელებაში, თუ პროდუქტის წარმოებისათვის გამოყენებულია მცენარეული ცხიმი ან სხვა ცხიმი, გარდა რძის ცხიმისა. ბიზნესოპერატორის მიერ აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა გამოიწვევს მათ დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში 1200 ლარის ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს.

ქართველი ჟურნალისტები პრემიერმინისტრთან შეხვედრას ითხოვენ, აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით

სოციალურ ქსელში გროვდება ჟურნალისტების ინტერნეტხელმოწერები, პრემიერმინისტრთან შეხვედრისათვის. გთავაზობთ ამ განცხადებას:

საქართველოდან გატაცებული და აზერბაიჯანში დაპატიმრებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე 15 ივნისს ევროპარლამენტში დებატები გაიმართა, რის შემდეგაც დაამტკიცეს რეზოლუცია, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ მუხთარლის გატაცების საქმის დროულად და გამჭვირვალედ გამოძიებისკენ.

ჩვენ, ჟურნალისტები ვგმობთ აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის, აფგან მუხთარლის თბილისიდან გატაცების ფაქტს. აფგან მუხთარლის თქმით, ის თბილისის ცენტრიდან გაიტაცეს და გადაიყვანეს აზერბაიჯანში. ამასთან, საგამოძიებო უწყებაში მიყვანისას, მისი ადვოკატის განცხადებით, მას აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ აფგან მუხთარლის ბრალი საზღვრის უკანონო კვეთისთვის, კონტრაბანდის გადატანისთვის და სახელმწიფო მოხელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის წაუყენა.

ჩვენ ვშიშობთ, რომ აფგან მუხთარლის ჯანრთელობა და სიცოცხლე ამჟამად საფრთხეშია.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მის გატაცებაში მონაწილეობდნენ ქართული სპეცსამსახურის წარმომადგნელები. თავად მუხთარლიმ ადვოკატს განუცხადა, რომ გამტაცებლები საუბრობდნენ ქართულად და ეცვათ საქართველოს კრიმინალური პოლიციის ფორმები.

ეს ფაქტები არა მარტო დიდ ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს, არამედ მნიშვნელოვნად აუარესებს ადამიანის

აფგან მუხთარლი

უფლებების დაცვის ხარისხს საქართველოში.

ევროპარლამენტარები, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები და ჟურნალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას, დროულად, ეფექტურად და გამჭვირვალედ გამოიძიოს ეს ფაქტი. გამოძიება კი ჭიანურდება. უფრო მეტიც, აფგან მუხთარლის ადვოკატის განცხადებით, საქმის მასალებში არ არის გატაცების ადგილიდან ამოღებული ვიდეომასალები, ხოლო გამომძიებელი ჟურნალისტების ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე სათვალთვალო კამერებიდან ამოღებული ვიდეომასალები დაზიანებულია.

ჩვენ დღემდე ვერ მივიღეთ დამაჯერებელი და არგუმენტირებული ინფორმაცია საგამოძიებო უწყებიდან, თუ როგორ გაუჩინარდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი თბილისის ცენტრიდან და გადაკვეთა საზღვარი პასპორტის გარეშე?

ამ კითხვებზე პასუხებს ჟურნალისტები ვითხოვთ უკვე მე-17 დღეა. ჩვენ, ვითხოვთ აფგან მუხთარლის საქმის დროულ და გამჭვირვალე გამოძიებას. გამოძიების პროცესში მოპოვებული მასალის გასაჯაროებას, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას.

ბატონო პრემიერო, ჩვენ, ჟურნალისტები, ვითხოვთ თქვენთან შეხვედრას, რათა ამ საკითხებზე მივიღოთ შესაბამისი ინფორმაცია.

ბექა ნაცვლიშვილი: „უნდა განვსაზღვროთ, როგორ ავითვისოთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობისთვის მიწა მაქსიმალურად ეფექტიანად“

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილების დაჩქარებული წესით განხილვისას,ფრაქცია ,,ქართული ოცნება სოციალ-დემოკრატების" მდივანმა ბექა ნაცვლიშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ უცხოელებზე მიწის გადაცემის შეზღუდვაზე მორატორიუმის გამოცხადებას არათუ მხარს უჭერენ, შეზღუდვა უნდა დაწესდეს ისეთი, რომ ქვეყანა ყველანაირი რისკებისგან იყოს დაცული. სწორედ ამიტომ უნდა ჩაიწეროს კონსტიტუციაში მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვა, რათა შემდგომში, ნეოლიბერალური ან რადიკალური ლიბერალური ძალის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი დაცული იყოს.

„მსოფლიო ტენდენციას თუ დავაკვირდებით, ჩვენ ვხედავთ რამდენად იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, რამდენად მცირდება ათვისებადი მიწის რაოდენობა და რამდენად მაღალია იმის ალბათობა, რომ რაღაც კულტურებზე, შემდგომში შეიქმნას დეფიციტი. ამისგან ჩვენ დაზღვეული უნდა ვიყოთ. მით უმეტეს, გვაქვს საშუალება, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ჯანმრთელი საკვებით უზრუნველვყოთ და არა გენმოდიფიცირებული საკვებით გამოვკვებოთ. ამიტომ, მიწის საკითხი დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა სასურსათო უსაფრთხოებასთან“ - აცხადებს ნაცვლიშვილი, რომლის აზრით, ტრაგედიაა, როდესაც ჯ ანდაცვა და განათლება საბაზრო პროდუქტია: **„ითქვა, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება, მიწა, როგორც საბაზრო პროდუქტი, გაცვალოს განათლებაზე, ჯ ანდაცვაზე და ა.შ. სწორედ ეს არის ტრაგედია, რომ ჯანდაცვა და განათლება საბაზრო პროდუქტია. სწორედ ეს არის ბოროტება, რომ ადამიანი შეიძლება დადგეს გადაწყვეტილების წინაშე გაასხვისოს მიწა და გაიკეთოს ოპერაცია თუ გაასხვისოს მიწა და შვილს განათლება მიაღებინოს“** - აცხადებს ფრაქცია ,,ქართული ოცნება სოციალ-დემოკრატების" მდივანი და მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე საუბარი უნდა იყოს არა უცხოელებზე მიწის გაყიდვაზე, არამედ მიწის რაციონალურად განკარგვაზე. მით უმეტეს, ქვეყანას ჯერჯერობით არც მიწა აქვს აღრიცხული, არც ბალანსი დადგენილი და ზოგადად, არ იცის რა ტიპის მიწა გააჩნია. ამასთან, გასათვალისწინებელია, ისიც, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის 47: სოფლად ცხოვრობს და მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, აუცილებელია განსაზღვრა, რომელმა ეკონომიკურმა სექტორმა მოახდინოს ამ სამუშაო ძალის აბზორბაცია:

„ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, რეგულაცია საჭიროა იმისთვის რომ განვსაზღვროთ როგორ ავითვისოთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობისთვის მიწა მაქსიმალურად ეფექტიანად. უნდა გავაკეთოთ კოოპერატივები და შესაბამისად, თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფეტიში გვაქვს, მაშინ, როდესაც ყველა ქვეყანა ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზანმიმართულ განაწილებას, მივიზიდოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არა მიწის გაყიდვაში, არამედ გადამამუშავებელ მრეწველობაში. ეს იმიტომ, რომ გადამუშავებული პროდუქტი გაცილებით მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელია, ვიდრე უბრალოდ რომელიმე კულტურის მოყვანა“.

მიწა არის განსაკთრებული მნიშვნელობის რესურსი, არამარტო იმიტომ რომ ამოწურვადია, არამედ იმიტომ რომ ის ჩვენ დაგვხვდა. ის არ არის რომელიმე ადამიანის შემოქმედების შედეგი, ის არ ექვემდებარება არც ტექნოლოგიურ მოდიფიკაციას. შესაბამისად, მიწის ფლობა, უპირველეს ყოვლისა, არ არის ინდივიდის უფლება, არამედ ეს არის პასუხისმგებლობა და სახელმწიფოს განსაკთრებული რეგულირების გარეშე, ამ პასუხისმგებლობას ვერცერთი ინდივიდი ვერ განახორციელებს. მიწას სწორედ ამიტომ ესაჭიროება განსაკუთრებული რეგულირება“ - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

პარლამენტმა ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში ცვლილებები დაამტკიცა

ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მესამე – საბოლოო მოსმენით მიიღო კანონპროექტი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონში ცვლილებები დაამტკიცა.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ოთარ დანელიას შეფასებით, კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვანია საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყ ნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებისთვის.

„მევენახეობა-მეღვინეობა სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს შორის დღეს უკვე ერთმნიშვნელოვნადაა აღიარებული და კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოებისა და რეალიზაციისათვის. აუცილებელი გახდა ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინება და ამის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს, ქართული ღვინის ხარისხის ამაღლებას. ასევე, გამოიწვევს უცხოური ბაზრების დაინტერესებას და ჩვენს ქვეყანას მაღალხარისხიანი ღვინის მწარმოებლის რეპუტაციას შეუქმნის“, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონი 1998 წელს არის მიღებული და მასში მნიშვნელოვანი ცვლილება 2002 წლის შემდეგ არ შესულა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, სხვა ცვლილებებთან ერთად, საჭირო იყო ტერმინოლოგიის ევროკავშირისა და მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაც.

კანონს დაემატა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ქვევრის ღვინო“, „ქარვისფერი ღვინო“, „აისვაინი“, „ვაზის გენეტიკური რესურსები“ და სხვა. შინაარსობრივად დაიხვეწა (ტექნიკურად დამუშავდა) ის განმარტებები, რომლებიც კანონის ცალკეული დებულებების ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდნენ. კანონიდან ამოღებულ იქნა საკმაოდ მოძველებული ტერმინი – „ვაზის ჯ იშების სტანდარტული ასორტიმენტი“ და შემოვიდა „სამრეწველოდ ნებადართული ჯიშების ჩამონათვალი“, ზონებისა და ქვეზონების მიხედვით დადგინდება „რეკომენდირებული ვაზის ჯიშების“ ჩამონათვალი. ასევე დადგინდა ვენახის კატეგორიები, ახლებურად განისაზღვრა სპირტიანი სასმელების კატეგორიები და მათი წარმოების წესი.

ოთარ დანელიას განცხადებით, მოქმედ კანონში განხორციელებული ცვლილებები დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, სულ უფრო იზრდება ღვინის ექსპორტი, რის შესახებ სტატისტიკაც მეტყ ველებს: 2017 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, მსოფლიოს 41 ქვეყ ანაში საქართველოდან ექსპორტირებულია 25 მილიონამდე ბოთლი ღვინო, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდს 64:-ით აღემატება. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 55 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ღვინო, რაც ასევე 58:-ით მეტია ვიდრე 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში. ექსპორტის განსაკუთრებული მატება შეინიშნება ჩინეთში, უკრაინაში, პოლონეთში, ბელარუსში, ლატვიაში, აშშ-ში, გერმანიაში, ხოლო საფრანგეთში ქართული ღვინის ექსპორტი თითქმის 5-ჯერაა გაზრდილი.

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ • (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**